

შპს ომეგა

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. შემოსავალი	18
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
6. სხვა შემოსავალი, წმინდა	18
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
8. კომერციული ხარჯები	19
9. წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან	19
10. ძირითადი საშუალებები	19
11. მარაგები	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	21
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	24
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	24

მმართველობის ანგარიშგება.....	25
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ომეგას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ომეგას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ომეგას“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გაგამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 ივლისი 2019 წელი

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
16 ივლისი 2019 წელი



შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	52,489,417	51,729,850
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(42,300,171)	(42,228,391)
საერთო მოგება		10,189,246	9,501,459
სხვა შემოსავლები, წმინდა	6	887,440	523,683
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(809,653)	(940,117)
კომერციული ხარჯები	8	(4,383,064)	(4,093,343)
საოპერაციო მოგება		5,883,969	4,991,682
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(34,542)	(78,880)
წმინდა მოგება საკუთროსო სხვაობიდან	9	(51,250)	43,964
მოგება დაბეგვრამდე		5,798,177	4,956,766
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		5,798,177	4,956,766
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		5,798,177	4,956,766

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 16 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი _____ ს. აბულაძე

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	52,489,417	51,729,850
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(42,300,171)	(42,228,391)
საერთო მოგება		10,189,246	9,501,459
სხვა შემოსავლები, წმინდა	6	887,440	523,683
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(809,653)	(940,117)
კომერციული ხარჯები	8	(4,383,064)	(4,093,343)
საოპერაციო მოგება		5,883,969	4,991,682
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(34,542)	(78,880)
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან	9	(51,250)	43,964
მოგება დაბეგვრამდე		5,798,177	4,956,766
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		5,798,177	4,956,766
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		5,798,177	4,956,766

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 16 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი



ს. აბულაძე

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	208,206	290,592	302,010
არამატერიალური აქტივები		4,210	5,151	7,120
სულ გრძელვადიანი აქტივები		212,416	295,743	309,130
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	11	17,301,543	16,007,590	13,350,592
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	3,530,364	4,169,780	3,260,647
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	6,417,290	5,612,882	4,809,265
სულ მიმდინარე აქტივები		27,249,197	25,790,252	21,420,504
სულ აქტივები		27,461,613	26,085,995	21,729,634
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		1,398	1,398	1,398
გაუნაწილებელი მოგება		24,616,824	21,345,347	17,464,243
სულ საკუთარი კაპიტალი		24,618,222	21,346,745	17,465,641
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,843,391	4,739,250	4,263,993
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,843,391	4,739,250	4,263,993
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		27,461,613	26,085,995	21,729,634

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	1,398	17,464,243	17,465,641
გაცემული დივიდენდი	-	(1,075,662)	(1,075,662)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	4,956,766	4,956,766
31 დეკემბერი 2017	1,398	21,345,347	21,346,745
გაცემული დივიდენდი	-	(2,526,700)	(2,526,700)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,798,177	5,798,177
31 დეკემბერი 2018	1,398	24,616,824	24,618,222

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		5,798,177	4,956,766
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		92,675	98,763
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		11,708	-
მარაგების გაუფასურება		73,899	76,317
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		34,542	78,880
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		13,706	1,238
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან	9	41,260	(88,312)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		6,065,967	5,123,652
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების ზრდა		(1,367,852)	(2,733,315)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		283,823	(1,412,436)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,524,507)	1,083,524
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,457,431	2,061,425
გადახდილი პროცენტები		(34,542)	(78,880)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,422,889	1,982,545
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(43,849)	(94,591)
ძირითადი საშუალებების გასვლა		9,087	7,979
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(34,762)	(86,612)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(6,530,997)	(7,027,072)
სესხების მიღება		6,483,968	7,054,766
გადახდილი დივიდენდი		(2,526,700)	(1,075,662)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,573,729)	(1,047,968)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		814,398	847,965
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	5,612,882	4,809,265
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	9	(9,990)	(44,348)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	6,417,290	5,612,882

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპსს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ომეგა" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი №11, თბილისი, საქართველო. კომპანია ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	31.12.2018	31.12.2017
თამარა გაბრიელაშვილი	50%	-
გრიგორი გუდავამე	50%	50%
ირინა გუდავამე	-	50%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ გადაწყვიტა ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ ერთი წლისათვის. ამგვარად, მისი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია არ იყენებს ფასს სტანდარტების სხვადასხვა ვერსიას, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში. კომპანია არ იყენებს ახალი ფასს, რომელიც ჯერ კიდევ სავალდებულო არაა, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელებსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და რომელიც ასახავს მისი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არის შემდეგი:

- ფასს 9 ფინანსური ინტრუმენტები
- ფასს 15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 9 და ფასს 15-ის ეფექტს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების რაიმე სახის კორექტირება.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს:

საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარე ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ფინანსურ ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ფინანსურ ანგარიშგებაში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“ ნეტო სიდიდით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

2.4 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და მოწყობილობების მიწოდება მონტაჟით ან მონტაჟის გარეშე.

საქონლის რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის, ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდებას თან ახლავს მონტაჟის მომსახურება, გარიგების მთლიანი ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას საურავებისა და ჯარიმების სახით.

კომპანიას არ აქვს გაფორმებული არცერთი ისეთი კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურების დრო ერთ წელს აღემატება. შესაბამისად, კომპანია საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველი რეალიზაციისას დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე ანაწილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
კომპიუტერი, ავეჯი და სხვა ოფისის მოწყობილობა	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება ძირითადად სააღრიცხვო პროგრამისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელი დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

2. მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა გრძელვადიან და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

2.8 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება “ფიფო” (პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში) მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.11 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.13 თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.14 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში. მიღებული საიჯარო შეღავათების აღიარება ხორციელდება, როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ბ) საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახდენს ძირითადად 6 თვიდან 3 წლამდე საგარანტიო მომსახურების პირობით. პროდუქციის რეალიზაციისთანავე კომპანია განიხილავს საგარანტიო ანარიცხის მიმდინარე ვალდებულებად აღიარებას. ანარიცხის დასათვლელად კომპანია იყენებს წარსულ გამოცდილებას გაყიდვებისა და გაწეული საგარანტიო ხარჯების სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების გზით. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

გ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

4. შემოსავალი

შემოსავლები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	18,148,296	16,343,944
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	33,434,661	34,567,906
სხვა	906,460	818,000
	52,489,417	51,729,850

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	(15,112,891)	(13,691,285)
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(26,524,824)	(27,877,928)
სხვა	(662,456)	(659,178)
	(42,300,171)	(42,228,391)

6. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავალი, წმინდა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
სხვა შემოსავალი		
მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები	672,169	223,431
შემოსავალი ქვეიჯარიდან	219,641	249,913
სხვა შემოსავალი	9,336	51,577
სულ სხვა შემოსავლები	901,146	524,921
სხვა ხარჯი		
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული ზარალი	(13,706)	(1,238)
სულ სხვა ხარჯი	(13,706)	(1,238)
სულ სხვა შემოსავალი, წმინდა	887,440	523,683

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	(541,201)	(507,342)
იჯარის ხარჯი	(96,835)	(78,516)
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	(73,899)	(76,317)
საკონსულტაციო ხარჯი	(38,902)	(148,977)
მივლინება	(24,063)	(28,284)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(6,244)	(7,609)
საკანცელარიო ხარჯი	(5,511)	(5,842)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,689)	(10,350)
სხვა ხარჯი	(18,309)	(76,880)
	(809,653)	(940,117)

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ლარი)

8. კომერციული ხარჯები

მიწოდების ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
იჯარის ხარჯი	(2,572,786)	(2,363,076)
შრომის ანაზღაურება	(1,127,190)	(1,010,349)
რეკლამის ხარჯი	(220,913)	(257,333)
კომუნალური ხარჯი	(100,387)	(90,856)
საწვავის ხარჯი	(88,342)	(90,441)
ცვეთა და ამორტიზაცია	(87,986)	(88,413)
კომუნიკაციის ხარჯი	(21,433)	(23,301)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(20,852)	(52,219)
დაცვის ხარჯი	(17,007)	(14,132)
სხვა ხარჯი	(126,168)	(103,223)
	(4,383,064)	(4,093,343)

9. წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(9,990)	(44,348)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(41,260)	88,312
	(51,250)	43,964

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	კომპიუტერი, ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	119,795	192,449	164,076	476,320
შემოსვლა	22,264	52,308	20,020	94,592
გასვლა	-	(24,855)	-	(24,855)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	142,059	219,902	184,096	546,057
შემოსვლა	-	21,293	22,556	43,849
გასვლა	-	(44,450)	(18,602)	(63,052)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	142,059	196,745	188,050	526,854
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(44,176)	(75,841)	(54,293)	(174,310)
2017 წლის ცვეთა	(25,488)	(36,637)	(34,668)	(96,793)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	15,638	-	15,638
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(69,664)	(96,840)	(88,961)	(255,465)
2018 წლის ცვეთა	(30,014)	(30,294)	(31,426)	(91,734)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	21,915	6,636	28,551
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(99,678)	(105,219)	(113,751)	(318,648)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	75,619	116,608	109,783	302,010
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	72,395	123,062	95,135	290,592
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,381	91,526	74,299	208,206

სრულად გაცვეთილი აქტივები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 64,699 და 19,682 ლარით.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

11. მარაგები

მარაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	11,858,539	10,257,467	11,859,328
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	4,772,093	5,078,900	1,158,943
სხვა	670,911	671,223	332,321
	17,301,543	16,007,590	13,350,592

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,035,918	1,199,059	791,455
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,035,918	1,199,059	791,455
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	2,494,446	2,970,721	2,469,192
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,494,446	2,970,721	2,469,192
სულ მოთხოვნები	3,530,364	4,169,780	3,260,647

კომპანიის მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,738,783	5,471,889	4,542,336
ფული სალაროში	593,383	105,019	236,593
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	85,124	35,974	30,336
	6,417,290	5,612,882	4,809,265

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2,522,506	4,527,601	3,947,076
სხვა	320,885	211,649	316,917
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,843,391	4,739,250	4,263,993
სულ ვალდებულებები	2,843,391	4,739,250	4,263,993

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

შპსს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,035,918	1,199,059	791,455
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,417,290	5,612,882	4,809,265
სულ ფინანსური აქტივები	7,453,208	6,811,941	5,600,720
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,843,391	4,739,250	4,263,993
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,843,391	4,739,250	4,263,993

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

15.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2018
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,332,165	85,028	97	6,417,290
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	998,301	-	37,617	1,035,918
სულ ფინანსური აქტივები	7,330,466	85,028	37,714	7,453,208
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,054,386	787,741	1,264	2,843,391
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,054,386	787,741	1,264	2,843,391
ღია სავალუტო პოზიცია	5,276,080	(702,713)	36,450	

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,576,908	35,240	734	5,612,882
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,198,643	-	416	1,199,059
სულ ფინანსური აქტივები	6,775,551	35,240	1,150	6,811,941
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,043,879	2,673,418	21,953	4,739,250
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,043,879	2,673,418	21,953	4,739,250
ღია სავალუტო პოზიცია	4,731,672	(2,638,178)	(20,803)	

	ლარი	დოლარი	ევრო	1.01.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,778,929	30,270	65	4,809,265
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	791,038	-	417	791,455
სულ ფინანსური აქტივები	5,569,967	30,270	482	5,600,720
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,695,707	2,391,965	176,321	4,263,993
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,695,707	2,391,965	176,321	4,263,993
ღია სავალუტო პოზიცია	3,874,260	(2,361,695)	(175,839)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(140,543)	140,543	(527,636)	527,636
ევროს ეფექტი	7,290	(7,290)	(4,161)	4,161

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს მხოლოდ ერთ წლამდე არსებულ მიმდინარე აქტივებს და ვალდებულებებს.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საიჯარო ხარჯი		
დამფუძნებელი	(106,707)	(119,881)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:		
მოკლევადიანი გასამრჯელო	(180,360)	(105,210)

17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები**იურიდიული საკითხები**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2019 წლის 2 თებერვალს კომპანიამ დამფუძნებლებზე გასცა 1,810,526 ლარის ოდენობის დივიდენდი.

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

შპს ომეგა (შემდგომში კომპანია) ბაზარზე წარმოდგენილია მეგატექნიკის მაღაზიათა ქსელის სახით, რომელიც 23 წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის პირველი მაღაზია 1996 წელს გაიხსნა თბილისში. მას შემდეგ ორგანიზაცია სტაბილურად ვითარდებოდა, იზრდებოდა და დღესდღეობით 140-მდე თანამშრომელს ასაქმებს.

კომპანია დაკავებულია საცალო და საბითუმო ვაჭრობით. მეგატექნიკა ყიდის საყოფაცხოვრებო და კომპიუტერულ ტექნიკას. კომპანია ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქტის დიდი არჩევანი სხვადასხვა საფასო სეგმენტში.

კომპანიის საცალო ქსელი მოიცავს 10 მაღაზიას თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში და ბათუმში. ასევე კომპანიას აქვს 3 საწყობი სტრატეგიულ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

კომპანია ახდენს ისეთი მსოფლიო ბრენდების ტექნიკის რეალიზაციას, როგორიცაა Hisense, Hoover, Philips, Panasonic, Electrolux, Sony, Lenovo, Asus, Samsung, Huawei, HP, Dell და სხვა

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია.....	26
2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები	26
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	28
4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა.....	29
5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	30

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია ბოლო წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება, რაც მენეჯმენტის სწორი სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. კომპანია ფინანსდება საკუთარი და მოზიდული დაფინანსების წყაროებით. აქვს შეუბღალავი საკრედიტო ისტორია.

კომპანია მართავს ვებ გვერდს www.megatechnica.ge, რომელიც განაახლა 2017 წლის ბოლოს. ვებ გვერდზე სრულად არის წარმოდგენილი ყველა პროდუქტი ფასებით და მომხმარებელს აქვს საშუალება ბარათით და ონლაინ კრედიტით შეიძინოს ნივთი. მომავალში კომპანიას დაგეგმილი აქვს გაყვეს თანამედროვე ტრენდს ელექტრონული ვაჭრობის განვითარების მიმართულებით და მომხმარებელს შესთავაზოს როგორც დამატებითი ყიდვის საშუალებები, ასევე უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია.

კომპანიას დასაქმებული ყავს 140 ადამიანი. მენეჯმენტის აზრით დასაქმებულთა დენადობა დაბალია, თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობს საშუალო ინდუსტრიული მონაცემები, არც დასაქმების და არც ფინანსური კოეფიციენტების მიმართულებით, ზუსტად კომპანიის პოზიციონირება გართულებულია.

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი, რომლის ათვისება/დაფარვაც პროდუქტების სეზონურობაზე დამოკიდებული. კომპანიას ისტორიულად ლიკვიდურობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი აქვს და მომავალშიც ეცდება რომ ამ მიმართულებით საფრთხეები თავიდან იყოს აცილებული. ეს მიიღწევა სწორი ფინანსური და ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ასევე სწორი დაგეგმვისა და პროგნოზების კეთებით.

2018 წელს კომპანიის ფილიალების რაოდენობა არ შეცვლილა. იმის გამო რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხის გაცემაზე ამოქმედებულმა რეგულაციებმა ტექნიკის განვადების რაოდენობა შეამცირა, ფრთხილად მოვეკიდეთ გაფართოების გეგმას. სამაგიეროდ მეტი ფოკუსი გაკეთდა მომხმარებელზე, მათ საჭიროებებზე, მომსახურების და კმაყოფილების დონის ამაღლებაზე, რის შედეგადაც კომპანიის ფინანსური შედეგები მაინც გაუმჯობესდა, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ ტრენდს კომპანია კვლავ გააგრძელებს.

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს მომხმარებელთან ქცევის წესებს და არსებული 10 მაღაზიის თანამშრომლებისთვის პერიოდულად ატარებს ტრეინინგებს ქცევის და პროდუქტის ცოდნის მიმართულებით.

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)		საოპერაციო შემოსავალი	
2018	5.79	2018	52.50
2017	4.95	2017	51.70


უკუგება საშუალო კაპიტალზე		უკუგება საშუალო აქტივებზე	
2018	25%	2018	22%
2017	26%	2017	21%

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)		ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა	
2018	27.50	2018	88.98%
2017	26.10	2017	90.50%

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დღეებში

2018	149
2017	138



ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები, ისევე როგორც წმინდა მოგება, 2017 წელთან შედარებით გაზრდილია. ვინაიდან არსებობდა მოლოდინი ბაზარზე სესხებზე რეგულაციების გამკაცრების, აქტიური მუშაობა მოხდა მომწოდებლებზე. მიღწეულ იქნა ის, რომ კომპანიამ მიიღო გაზრდილი ბონუსები მომწოდებლებისგან და ასევე სხვა უკეთესი კომერციული პირობები, რითიც მოხერხდა კომპანიის საერთო მოგების მარჯის ზრდა. ასევე კომპანიამ მოახდინა შიდა რესურსების ოპტიმიზაცია. პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ნაკლები სასესხო ვალდებულება და შესაბამისად შეამცირა საპროცენტო ხარჯის ნაწილიც.

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): მეწილეების 2018 და 2017 წლის კუთვნილი მოგება შეფარდებული კაპიტალის 2017-2018 წლების და 2017-2016 წლების საშუალო მაჩვენებელზე. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს რამდენი მოგება მოაქვს ერთი ერთეულის კაპიტალს წლის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს შემცირებულია 2017 წლის მონაცემთან შედარებით 26%-იდან 25%-მდე, შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებას ამ კუთხით ადგილი არ ჰქონია.

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): 2018-2017 წლების წმინდა მოგება შეფარდებული 2017-2018 და 2017-2016 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის აქტივს წლის განმავლობაში. 2018 წლის უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე გაზრდილია 2017 წლის ამავე მონაცემთან შედარებით 21% იდან 22%-მდე, შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებას ამ კუთხით ადგილი არ ჰქონია.

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი წლის რეალიზებული პროდუქციის თვითრიგებულებაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული ინდიკატორი 2017 წელს შეადგენდა 138, ხოლო 2018 წელს 149, რაც განსაზღვრავს თუ რამდენი დღე სჭირდება კომპანიას საშუალოდ არსებული მარაგების რეალიზაციისათვის. მომწოდებლებისგან კარგი პირობების მისაღებად საჭირო იყო გაზრდილი მოცულობით შესყიდვების გაკეთება, რამაც გამოიწვია მარაგების და შესაბამისად აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს რამდენად შესწევს კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის უნარი. აღნიშნული კოეფიციენტი საგრძნობლად გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით, 2016, 2017 და 2018 წლებში შეადგენდა შესაბამისად 5.02, 5.44 და 9.98-ს.

ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა: პერიოდის მთლიანი საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან. აღნიშნული კოეფიციენტი 2017 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაუმჯობესებულია და შემცირებულია.

კომპანიის ზემოთ აღნიშნულმა სტრატეგიულმა გადაწყვეტილებამ, რომ მომწოდებლებთან უფრო ეფექტურად ემუშავა, გააუმჯობესა კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები და შესაბამისად ბევრი სხვა კოეფიციენტი, მათ შორის მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი და ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა.

2018 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ხარჯვით ნაწილში, ყველაზე დიდი ხარჯი იჯარის ხარჯია, და შემდეგ სახელფასო ხარჯი. ფაქტიურად ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯვითი ნაწილის 84%-ს იჯარა და ხელფასები შეადგენს. მომავალში ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან საცალო ბიზნესისთვის იჯარა და ხელფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

შემოსავლების ნაწილში, 2018 წელს საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან შემოსავლები შეადგენს მთლიანი რეალიზაციის 64%.

ლ '000	2018 წ	2017 წ
სულ შემოსავალი	52,489	51,729
შემოსავალი საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან	33,434	34,568
საყოფაცხოვრებო ტექნიკის წილი მთლიან რეალიზაციაში	64%	67%

ამ პროპორციით ჩანს, რომ 2017 წელს არჩეული სტრატეგიული გზა, რაც ითვალისწინებდა შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით პოზიციების გაძლიერებას მიღწეულია. მომავალშიც ეს სტრატეგია აქტუალური იქნება.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკის აღწერა

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბრეზიდენტის ბრძანება ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. კრედიტის გამცემ კომპანიებს აეკრძალათ კრედიტის გაცემა მსესხებლის/თანამსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის, საკრედიტო ისტორიისა და სხვა მსგავსი მაჩვენებლების შემოწმების გარეშე. რეგულაციების გათვალისწინებით. ზოგიერთი მომხმარებლისთვის საერთოდ შეუძლებელი გახდება კრედიტების მიღება.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არის რისკი იმისა, რომ კიდევ უფრო მკაცრი კანონის მიღება მოხდეს ეროვნული ბანკის მხრიდან, რომელიც შეეხება იპოთეკურ სესხებს. ვინაიდან ტექნიკის ბიზნესი დიდად არის დამოკიდებული

დეველოპმენტის ბიზნესთან, იპოთეკურ სესხებზე მიღებული ახალი კანონი მომავალში კიდევ უფრო დიდი რისკი იქნება კომპანიისთვის.

რისკის განეიტრალება

ამ რისკის განეიტრალება ვეღარ მოხდება იგივე სტრატეგიით რაც დაგეგმილი იყო წინა წელს, მოსალოდნელი საბანკო რეგულაციების გამკაცრების პირობებში უფრო მეტ ფინანსურ ინსტრუქტთან თანამშრომლობა განვადების მიმართულებით, ამიტომ კომპანიამ სხვა სტრატეგია აირჩია ამისთვის, რომ ეზრუნა სტაბილურ ზრდაზე და მომხმარებლებისთვის კმაყოფილების დონის ამაღლებაზე. კომპანიამ დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან და შემდგომშიც გააგრძელებს ეფექტურ თანამშრომლობას საქონელზე ფასების შემცირების მიზნით, რათა მომხმარებლებმა შეძლონ საუკეთესო ფასად განვადების გარეშე შეიძინონ საქონელი და კომპანიის გაყიდვებიც ნაკლებად დაზარალებულა არსებული რეგულაციების პირობებში.

4.2 ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

კომპანიას აქვს სამომავლო განვითარების სამწლიანი გეგმა. რომელიც გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას. ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქტების მიხედვით პოზიციების განსაზღვრით. იმ პროდუქტში, სადაც კომპანიას უკვე საკმაოდ დიდი წილი აქვს, ეს ეხება თეთრ პროდუქტს (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გახურვა და სხვა) შეინარჩუნოს პოზიციები, ხოლო ე.წ. შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით კი გააძლიეროს. პოზიციების შენარჩუნება მოხდება მომხმარებლების განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტური პროდუქტებზე აქცენტის გაკეთებას. ეს არის A, A+, A++ და A+++ ენერგომომხმარების ახალი პროდუქტის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება სუსტი პოზიციების გაძლიერების კუთხით. ითვალისწინებს რა თანამედროვე ტრენდს სმარტ ტექნოლოგიების მიმართულებით, კომპანია აპირებს დამატებით ბრენდების მოძიებას და პროდუქტის ნაირსახეობის გაზრდას. ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და საერთაშორისო გამოფენებზე ყოველწლიურად ხდება არსებულ და პოტენციურ მომწოდებლებთან მუშაობა.

მომავალ წლებში კომპანია პროგნოზირებს ზრდას. პროგნოზი დამყარებულია იმ მოლოდინზე რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება და ასევე გაიზრდება მოსახლეობის ხარჯვითი ნაწილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიმართულებით, რადგან ახალ ტექნოლოგიებთან ერთად გარკვეული სახეობის პროდუქციის გამოცვლაზე იქნებიან მიმართული.

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 16 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ნ. გაბუნია

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა (გაგრძელება)


კომპანია სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 16 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი


ნ. გაბუნია